მესამე მხარის ჩარევის გავლენა დემოკრატიზაციაზე პოსტ-კონფლიქტურ სახელმწიფოებში: აღმოსავლეთ ტიმორისა და ლიბერიის შედარებითი ანალიზი

ლუკა სამხარაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები (საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ იგი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

ლუკა სამხარაძე

08.06.2026

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი იკვლევს მესამე მხარის ჩარევის გავლენას დემოკრატიზაციის პროცესზე პოსტ-კონფლიქტურ პერიოდში. გაკეთდა აღმოსავლეთ ტიმორისა და ლიბერიის შედარებითი ანალიზი. კვლევა შეისწავლოს თუ რა პირობებში უწყობს ხელს გარე აქტორების (საერთაშორისო ორგანიზაციების, რეგიონული გაერთიანებებისა და ცალკეული სახელმწიფოების) ჩართულობა, დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და პოლიტიკური სტაბილურობის განმტკიცებას კონფლიქტის შემდგომ პერიოდში. კვლევის ძირითადი კითხვაა: როდისაა მესამე მხარის ჩარევა წარმატებული და როგორ განსაზღვრავს შიდა პოლიტიკური და სოციალური გარემო ამ ჩარევის შედეგებს. ფორმულირებულია ძირითადი ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც, გარე ინტერვენცია დემოკრატიზაციისთვის ეფექტიანია მაშინ, როდესაც ეგზოგენური ფაქტორები ინტეგრირდება ხელსაყრელ შიდა პოლიტიკურ და სოციალურ გარემოსთან. თეორიული დისკურსი ეყრდნობა ლიბერალური მშვიდობის მშენებლობის კრიტიკას, „ინსტიტუციონალიზაცია ლიბერალიზაციამდე“ მიდგომას და ჰიბრიდული მშვიდობის კონცეფციას. კვლევაში გამოყენებულია შერეული მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს - შემთხვევის შედარებით ანალიზს, პროცესის მიდევნების მეთოდს, დისკურს ანალიზს და აღწერითი სტატისტიკური მონაცემების ინტერპრეტაციას. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ აღმოსავლეთ ტიმორის შემთხვევაში შედარებით თანმიმდევრულმა საერთაშორისო მანდატმა, უსაფრთხოების უზრუნველყოფამ და ადგილობრივი პოლიტიკური გარემოს შედარებითმა ერთიანობამ ხელი შეუწყო დემოკრატიული ინსტიტუტების ფორმირებას. ლიბერიის შემთხვევაში კი ეთნიკური დაყოფა, პოლიტიკური ფრაგმენტაცია, ელიტების ძალაუფლებისთვის ბრძოლა და გარე რეგიონული აქტორების განსხვავებული ინტერესები დემოკრატიზაციის პროცესს უფრო მყიფეს ხდიდა.

საკვანძო სიტყვები: დემოკრატიზაცია, მესამე მხარის ჩარევა, პოსტ-კონფლიქტური პერიოდი, აღმოსავლეთ ტიმორი, ლიბერია

Abstract

This study examines the impact of third-party intervention on the process of democratization in post conflict states through a comparative case study analysis of East Timor and Liberia. Its aim is to explore under what conditions the involvement of external actors (international organizations, regional organizations and individual states), contributes to the formation of democratic institutions and the strengthening of political stability in the post-conflict period. The main research question asks under what conditions third-party intervention is successful and how the domestic political and social environment determines the outcomes of such intervention. The study formulates a central hypothesis, according to which external interventions is effective for democratization when exogenous factors are integrated with a favorable domestic political and social environment. The theoretical framework of the research is based on the critique of liberal peacebuilding, the "institutionalization before Liberalization" approach and the concept of "hybrid peace". The study applies a mixed methodology, which includes comparative case study analysis, process tracing, discourse analysis and the interpretation od descriptive statistical data. The findings show that, in the case of East Timor, a relatively coherent international mandate, the provision of security and the relative unity of domestic political environment contributed to the formation of democratic institutions. In the case of Liberia, however, ethnic divisions, political fragmentation, elite competition for power and the divergent interests of regional actors made the democratization process more fragile.

Keywords: Democratization, third-party intervention, post-conflict period, East Timor, Liberia